KA070153687803113

საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის
მინისტრი

ბრძანება

N03/130

08 / აგვისტო / 2013 წ. ქ.თბილისი

საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში მდებარე არქეოლოგიურ ობიექტთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N3/108 ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში მდებარე არქეოლოგიური ობიექტის შესწავლის დასრულების მიზნით,

ვბრძანებ:

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში მდებარე არქეოლოგიური ობიექტის შესწავლის პროცესის მონიტორინგი და ამ მიზნით, ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში, შექმნას სათანადო კომისია, რომლის ხელმძღვანელიც შეირჩევა კომპანია RMG-ის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურებისგან.

სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს (თ. ჩიხრაძე) და კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (ბ. მაცაბერიძე) დაევალოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების დაუყოვნებლივ განხორციელება საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ზონის 2013 წლის პირველ ოქტომბერს გაუქმების მიზნით.

კომპანია RMG-ის მიეცეს თანხმობა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში აწარმოოს ისეთი სახის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, რომლებიც არ დააზიანებს, ან არ შეუქმნის დაზიანების საფრთხეს ზონაში მდებარე არქეოლოგიურ ობიექტს.

ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრი მ. ოდიშარია მირიანე ოდიშარია